



## სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

28 02 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 2-41

**მოსწავლეთა ჯანმრთელობის, სასწავლო პროცესის ეფექტურობისა და სკოლაში ჯანმრთელი გარემოს შესაქმნელად, სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების დასაცავად სკოლაში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობის, სასწავლო პროცესის ეფექტურობისა და სკოლაში ჯანმრთელი გარემოს შესაქმნელად, სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების დასაცავად განხორციელდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:
  - 1.1 სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დამლაგებლების მიერ ჩასატარებელი/გასათვალისწინებელი ღონისძიებები:
    - 1.1.1 სკოლა ყოველდღიურად დალაგდეს სველი წესით;
    - 1.1.2 საკლასო ოთახების, სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოხდეს გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების მდგომარეობაში;
    - 1.1.3 ჩატარდეს შენობის გენერალური დასუფთავება როგორც სარეცხი, ასევე სადეზინფექციო საშუალებებით;
    - 1.1.4 ტუალეტები, სამედიცინო კაბინეტი დასუფთავდეს სადეზინფექციო საშუალებებით, ტუალეტების დასუფთავება მოხდეს ყველა დასვენების შემდეგ, სპეციალური ხსნარით;
    - 1.1.5 სანიტარულ/ტექნიკური აღჭურვილობის დასუფთავება მოხდეს ყოველდღიურად. უნიტაზის დასაჯდომი ჩასარეცხი ავზის სახელოურები და კარების სახელოურები გაირეცხოს ცხელი წყლითა და სადეზინფექციო საშუალებების დახმარებით;
    - 1.1.6 დეზინფექციის დროს ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნივთების დამუშავებას, რომლებიც გადამწვევტ როლს თამაშობენ ინფექციის გადაცემაში (კარის სახელოურები, კარები, მაგიდის ზედაპირები);
    - 1.1.7 ნაგვის ყუთების გაცლა მოხდეს მათი 2/3-ზე გავსებისას. გაცლის შემდეგ ნაგვის შემკრებებს ჩაუტარდეს დეზინფექცია;
    - 1.1.8 სკოლაში უზრუნველყოფილი იყოს ნახმარი წყლების მოცილება, ავზების დაცლა დროულად და უსაფრთხოდ;
    - 1.1.9 დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა იხ. დანართი N1.

- 1.2. სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის კლასის დამლაგებლების მიერ ჩასატარებელი/გასათვალისწინებელი ღონისძიებები:
- 1.2.1 დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდეს პირის იზოლაცია და განხორცილდეს შეტყობინება სკოლის ექიმთან/მშობელთან;
- 1.2.2 მოსწავლეების და მშობლის/კანონიერი წამომადგენლის ინფორმირება ახალ კორონა ვირუსთან დაკავშირებით და საინფორმაციო შეხვედრების უზრუნველყოფა;
- 1.2.3 კლასში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ჰიგიენურ/სანიტარულ საკითხებზე:
- ხელების სწორი დაბანა;
  - თავის შეკავება გადაკოცნისგან;
  - საკუთარი მარკირებული წყლის ბოთლის ქონა;
  - სველი სალფეტკის ქონა, რითაც ხშირად მოახდინონ პირადი სივრცის/ხელის წმენდას;
- 1.2.4 საკლასო ოთახის ხშირი განიავება;
- 1.2.5 საგაკვეთილო პროცესის დროს საკლასო ოთახის კარების/სახელოურების და მაგიდის ზედაპირების ხშირი წმენდა;
- 1.2.6 მოსწავლეებისთვის დაცემიანების სწორი ტექნიკის სწავლება;
- 1.3 სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დარაჯის მიერ ჩასატარებელი/გასათვალისწინებელი ღონისძიებები:
- 1.3.1 მკაცრად აკონტროლოს უცხო პირების შემოსვლა სკოლაში (არ დაუშვას ვირუსიანი პირის შემოსვლა სკოლის შენობაში);
- 1.3.2 სკოლის ტერიტორიაზე არ დაუშვას უმეტესად უცხოელები (განახორციელოს შეტყობინება შესაბამის სამსახურში);
2. სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის ექიმმა ახალ კორონა ვირუსის პრევენციასთან დაკავშირებით, ჩაატაროს საუბრები სკოლის თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან;
3. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო  
სკოლის დირექტორი:



*Handwritten signature in blue ink.*

/ელზა ბადაშვილი/

N	დასახელება
1	Yetis მჟავა 550 გრ.
2	მინის საწმენდი სპრეი Like
3	"რაქშა" rakhsha სახეხი ფხვნილი
4	DOMESTOS 810 მლ
5	სამუშაო ხელთათმანი
6	რეზინის ხელთათმანი Rose Bano
7	იატაკის ტილო მიკროფიბრა 60x80
8	ტილო 35x35 მიკროფიბრა
9	ბაგი ორანიტი